საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285410

№ 09-02-11/331Ე
15 დეკემბერი 2016 წ.

15.12.2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ *გიორგი ბერიძეს*

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93^1 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

პატივისცემით

ნინო ჩხეტია

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
09-01-08/09
15 12 2016
5 ფურცელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 6 19 დეკემბერი 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების თაობაზე (09-01-08/04, 15.12.2016წ.).

(გამარტივებული წესით)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავჯდომარე
ნინო ჩხეტია

ავტორი

უმაღლესი საბჭოს წევრი
ნინო ჩხეტია

ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

15.12.2016 წელი

შემოსვლის თარიღი

წამყვ. კომისია: 20,12,2016 წელი

საკომისიო მოსმენის ვადა

რიგგარეშე სესია

სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე *დავით გაბაიძე*

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 20.06.2016, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016031) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 11.11.2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) მე-19 მუხლის ამოქმედებისთანავე.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2016 წლის
№

ნ. ჩხეიძე

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საჯარო სამსახურის საბჭო, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო. ამავე მუხლის თანახმად, საბჭო შედგება 11 წევრისაგან. საბჭოს დაკომპლექტებაში სხვა სუბიექტებთან ერთად, ასევე მონაწილეობენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც თავიანთი შემადგენლობებიდან საჯარო სამსახურის საბჭოში ირჩევენ თითო წევრს. კანონის აღნიშნული მუხლი, მთლიან კანონთან ერთად უნდა ამოქმედებულიყო 2017 წლის 1 იანვრიდან.

პარლამენტის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული კანონის 126-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს ეთხოვათ, რომ 2016 წლის 1 სექტემბრამდე სათანადო საკანონმდებლო აქტებით განესაზღვრათ საჯარო სამსახურის საბჭოს შესაბამისი წევრის არჩევის წესი.

კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში 2016 წლის 16 ივნისს შეტანილი ცვლილებით შესრულებული იქნა კანონის მოთხოვნა. კერძოდ, რეგლამენტში შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა უმაღლესი საბჭოს კვოტით საჯარო სამსახურის საბჭოში წევრის არჩევის წესი და სხვა საკითხები, ხოლო რეგლამენტის ამოქმედების თარიღად საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის არჩევის ნაწილში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის 128-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, განისაზღვრა 2017 წლის 1 იანვარი.

ვინაიდან, საქართველოს პარლამენტში 2016 წლის 15 დეკემბერს დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის (მათ შორის მე-19 მუხლის) ამოქმედების 2017 წლის 1 ივლისამდე გადავადება, აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებას მოითხოვს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს მიერ 2016 წლის 16 ივნისს მიღებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია, უმაღლესი საბჭოს მიერ საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის არჩევის რეგლამენტით გათვალისწინებული მომწესრიგებელი ნორმის ამოქმედების ვადის მიბმა საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტის ნორმის ამოქმედებასთან.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი

პროექტის შესაბამისად, საჯარო სამსახურის საბჭოში უმაღლესი საბჭოს კვოტით ასარჩევი პირის არჩევის მომწესრიგებელი ნორმა, კერძოდ – უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტის 116[5] მუხლი ამოქმედდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის მე-19 მუხლის ამოქმედებისთანავე.

.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება.

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ნინო ჩხეტია.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – ნინო ჩხეტია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 2

1. ეს რეგლამენტი, გარდა ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული
და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (0322) 28 54 33

№ 10-01-10/58

„16“ „დეკემბერი“ 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის შესახებ

(ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრი ნინო ჩხეტია)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად, განხილულ იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ბელა ღოღობერიძე

03-01-14/141
16 12 2016
03-02-11/3336
16 12 2016

საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების თაობაზე (09-01-08/04, 15.12.2016წ.).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების თაობაზე (ინიციატორი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი **ნინო ჩხეტია**) საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში დარეგისტრირდა 2016 წლის 15 დეკემბერს.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2016 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაიწყო განხილვის პროცედურა ინიციატივაზე, წამყვან კომისიად განისაზღვრა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია, ხოლო საკომისიო განხილვის ვადად 20,12,2016 წელი.

წამყვანი კომისიის, და აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნები უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში შემოვიდა ბიუროს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადების დაცვით.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით საკითხი შევიდა უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე განსახილველად.

ინიციატივა პლენარულ სხდომაზე წარდგენილია რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საპროცედურო მოთხოვნების შესაბამისად.

დეპარტამენტის უფროსი: /გიორგი ბერიძე/

26.12.2016 წელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული
და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (0322) 28 54 33

№ 10-01-10/61

„20“ „დეკემბერი“ 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ *ნინო ჩხეტიას*

დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის შესახებ

(ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრი ნინო ჩხეტია)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად, განხილულ იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი მომზადებულია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად და მის მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დეპარტამენტის უფროსი მაია ხაჯიშვილ

09-02-11/3417
01 1
20 12 2016